ხაშურის მოამბე

№21(394) 5 ივნისი, ორშაბათი, 2023 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 ივნისს, საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი უძღვებოდა.

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალიწინებულ 9 საკითხზე იმსჯელა.

საკრებულოს ხმათა უმრავლესობით ცვლილებები შევიდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - იურიდიული უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურების დებულებებში; „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“, ასევე, „მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში.

დამტკიცდა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი;

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა“ და „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი;

აგრეთვე, დამტკიცდა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის 2023-2026 წლების სტრატეგია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა;

სხდომამ მოისმინა და დადებითად შეაფასა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა.

საკითხები მერიისა და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა წარმოადგინეს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ღონისძიებებით აღინიშნა

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების “ ინიციატივით, ხაშურში, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთი მხიარული აქტივობა მოეწყო.

პატარებს, ბავშვთა საერთაშორისო დღე მიულოცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა და სხვა თანამდებობის პირებმა.

ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ: მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი-კონსტანტინე ფრუიძე და ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების “ დირექტორი-ლელა გელაშვილი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — დააწესა 1949 წლის ნოემბერს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. 1950 წლიდან აღინიშნება ყოველწლიურად, 1 ივნისს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი მიზანია, სხვადასხვა საშიშროებისგან, ბავშვების დაცვა და მათ აღზრდა - განვითარებაზე ზრუნვა.

დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, სკვერის მოწყობა მიმდინარეობს

„რეკრეაციული სივრცე, ყველა ასაკის ადამიანზე იქნება გათვლილი, მოეწყობა ფანჩატური, დასასვენებელი სკამები, საბავშვო ატრაქციონები, მწვანე ზონები, იქნება თანამედროვე ტიპის განათება, შესაბამისი კომუნიკაციებით“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის-ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ამაღლების ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 104300 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში, მწვანე სივრცეების მოწყობა, არაერთ ტერიტორიაზე მიმდინარეობს და ტენდენცია აქტიურად გაგრძელდება.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20)

მაინც ამ გზის რომელი მონაკვეთით უნდა ესარგებლა დამარცხებულ თევდოსს? როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში ლიხის ქედზე რამდენიმე უღელტეხილი-გადასავლელია ცნობილი. პირობითად მათ შეიძლება ვუწოდოთ ქვიშხეთის, სურამისა და ალის გადასასვლელები. ნიკო ბერძენიშვილი, 853წელს, კვერცხობის ბრძოლასთან დაკავშირებით წერს, რომ „...არ ჩანს: „გზა დასავლისა“ ერთი გარკვეული გზის სახელი იყო, თუ ლიხთიქითს მიმავალ ყოველ გზის შესახებ ითქმოდა“.

უნდა გამოვთქვათ მოკრძალებული ვარაუდი, რომ „გზა დასავალისაი“ „ლიხთიქითს მიმავალი ყოველი გზის“ საერთო სახელწოდება უნდა იყოს. იგი თანაბრად უნდა ითქმოდეს ქვიშხეთის, სურამისა და ალის გადასასვლელებზე. ალიდან დასავლეთისკენ ორი მიმართულებით მიემართებოდა გზა, ერთი ულუმბო-დედაბერათი და მეორე - ჯვარ-კორტოხით. ეს უკანასკნელი ბრძოლის ველიდან საკმაოდ დაშორებულია, რაც შეეხება ულუმბოს, იგი იქვეა, ახლოსაა და დამარცხებულ თევდოსსაც „გზა დასავალისაის“ ამ მონაკვეთით უნდა ესარგებლა. რაც შეეხება კვერცხობთან ბრძოლის მიმდინარეობას. მატიანეები ძალზე ძუნწად აღწერენ ბრძოლის პერიპეტიებს, თუმცა, რასაც ამბობენ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ბრძოლა სისხლისმღვრელი იქნებოდა. ალის ხეობიდან გამოსული თევდოსი პირისპირ დგას კვერცხობთან მოსულ მტერთან. „მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი“ - წერს მემატიანე. დამარცხებული და „მეოტი“ თევდოსი უკან იხევს, შედის ხეობაში და პირველსავე გადასასვლელით - ულუმბო-დედაბერას გზით მიდის დასავლეთ საქართველოში. არ გამოვრიცხავთ, მტერი დაედევნებოდა დამარცხებულ თევდოსს და გარკვეულ მანძილზეც გაჰყვებოდა. როგორც ჩანს, ულუმბას მონასტერი ამ დროს უნდა განადგურებულიყო და სამონასტრო ცხოვრებაც დროებით შეწყვეტილიყო.

ამას გვაფიქრებინებს აქ XX საუკუნის 60 - იანი წლების ბოლოს ნანახი ლაპიდარული წარწერა. წარწერა ნახა არქიტექტორმა ტარიელ კიპაროიძემ და პირველი პუბლიკაციაც მას ეკუთვნის. იგი წარწერის შესახებ აღნიშნავს: „აღმოსავლეთის ფასადზე, XIX საუკუნის სარკმლის ქვემოთ, აღმოჩნდა თაღოვანი სარკმელი. მას ორნამენტული საპირე ჰქონია შემოვლებული. თუმცა საპირე აღარ იკითხება, მაგრამ იგი სამხრეთის კარის საპირის ანალოგიური პროფილის უნდა ყოფილიყო. დაბოლოს უმნიშვნელოვანესი დეტალი რაც ძეგლზე მუშაობისას შეგვხვდა არის ეპიგრაფიკული ძეგლი...

წარწერის ადგილსამყოფელი გაამჟღავნა რამდენიმე მთავრულმა ასო - ნიშანმა, რომელიც, საბედნიეროდ, მიწაყრილს არ დაეფარა. ასოების შემჩნევით აღფრთოვანებულმა სახელდახელოდ 50 სმ-ის სიღრმის შურფი ამოვიღე. გამოჩნდა მშვენიერი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. ქვის პერანგის წყობაში წარწერა თავდაპირველ მდებარეობაში როდია, ახლანდელი მდებარეობითაა გამოწვეული ის, რომ სტქრიქონები და თვით ტექსტი ჰორიზონტალური მიმართულებით კი არ იკითხება, არამედ შვეულად, ზემოდან ქვემოთ. ეპიგრაფიკულ ძეგლს, თუ ყველა არა, ორი მხარე მაინც ჩამოკვეთილი აქვს. ის მხარე სადაც სტრიქონები უნდა დამთავრებულიყო და ქვაზე დარჩენილი უკანასკნელი სტრიქონი. ეს სტრიქონი გრძივი მიმართულებით შუაზეა გაკვეთილი. ასეთნაირი უგულო მოქმედების შედეგად მერვე და იქნებ სხვა სტრიქონებიც დაღუპულა. წარწერამ ჩვენამდე შვიდი სტრიქონით მოაღწია. მიუხედავად იმისა რომ ეპიგრაფუკული ძეგლის ორი ურთიერთგადამკვეთი გვერდი ჩამოკვეთილია, წარწერას ასოები აკლია, სტრიქონები ასე თუ ისე მაინც ბოლომდე იკითხება“.

შემდეგ: „ულმბის ეპიგრაფიკლი ძეგლი, თუმც დღეს ძლიერ შელახულია, თავის დროზე მშვენივრად გათლილ ქვაზე, კარგი ხელითაა ამოკვეთილი. ასოები ტყუპწვეტოვანია, იგი ამოღარვის ტექნიკითაა შესრულებული და ასოების კონტურებში წითელი საღებავი ყოფილა ჩასხმული.

ასო-ნიშნების ერთობლიობა სტრიქონებში ქმნის ზემო ჰორიზონტალურ ხაზს, რაც მხატვრულ ღირსებას მატებს ძეგლს.

ულუმბის ეპიგრაფიკული ძეგლი პალეოგრაფიული მეცნიერების შენაძენია, ამავე დროს ავსებს ულუმბის ხუროთმოძღვრული ძეგლის ცხოვრების სურათს. წარწერა გიორგი მეფის ქება-დიდებას გამოხატავს. ქარაგმების გახსნისას იგი ასე იკითხება:

ქ[რისტ]ე ად[ი]დე შ[ე]ნ მიერ
დამყ[ა]რ[ე]ბ]უ]ლი შ[ე]ნ მი/ერ/
გვირგვინოსან/ი/
სამ/ოთხველ/ ად ც/ა/ მდე ამ[ა]ღლ[ე]ბ]უ]ლ ი ოვ /ძ/ლეველი გ[იორგ] ი მ[ე]ფც ყ[ო]ვ[ლ]ისავე აღმო...

„ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული შენ მიერ გვირგვინოსანი სამოთხველად ცამდე ამაღლებული ოვძლეველი გიორგი მეფეც ყოვლისავე აღმოსავლისავე ...'' მკვლევარი წარწერას XI საუკუნის პირველ ათეულით ათარიღებს და გიორგი I - ზე მიგვანიშნებს მისი ბიზანტიური სამოხელეო ტიტულით არმოხსენიების გამო. უნდა შევნიშნოთ, რომ წარწერას არ იცნობენ XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია და სხვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარწერა აუცილებლად მოხვდებოდა რომელიმე მათგანის ინტერესის სფეროში. უფრო მეტიც, მას არ იცნობს ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც XX ს-ის 20-30-იან წლებში მოინახულა იგი და საკმაოდ დეტალური აღწერა მოგვცა .

წარწერაში გიორგი I - ის მოხსენიება ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ულუმბის მონასტრისა და აქ შეწყვეტილი სამონასტრო ცხოვრების აღდგენა XI ს-ის პირველ მეოთხედში უნდა მომხდარიყო.

* * *

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რეგიონი და მისი მოსახლეობა XI საუკუნის 60-70 იანი წლებიდან, როცა ქვეყნას თურქ სელ-ჯუკები შემოესიენ. განსაკუთრებით მძიმე იყო 80-იანი წლები. ცნობილი ფაქტია, რომ მტერი ალის ხეობით გადავიდა დასავლეთ საქართველოში და სვერის ციხემდე მივიდა. მან გზად ყველაფერი მოაოხრა. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში'' ვკითხულობთ: „...და იწყო ოხრებად და ხოცად კაცისა, და გარდავიდა მარბიელი მისი არგუეთს. მიუწიეს და დარბივეს ვიდრე სუერის ციხემდე. და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგომოდეს ქუეყანასა თუალნი... და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შესაძრწუნებელი, და არე-არე სისხლის წვიმა ეხილვა კაცთა''.

პროფ. შ. მესხია შენიშნავს, რომ „დიდი თურქობის“ მძიმე შედეგებმა ასახვა პოვა გვიანდელი ხანის ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში და მაგალითად მოჰყავს იოანე ბატონიშვილის თხზულება, რომელშიც ნათქვამია: „ჟამთა წინაპართა ამა (დავით) მეფისათა მოვიდნენ საქართველოსა შინა აგრიანნი (იგულისხმება თურქები), სახლეულითურთ თვისით, ვიდრე სამასი ათასი მოსახლე კაცნი და დაიპყრეს საქართველო, და დაეშვნენ სამთა მდინარეთა სანაპიროთა ზედა, ესე იგი მტკვარსა, ალაზანსა და იორსა ზედა. სახითა ამით, რომელ მათ ელისა (მომთაბარეთა) მთავართა განიყვნეს ამ სახით ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასიათასისა კომლისა კაცითა დაესახლა მტკვრის კიდესა ზედა ამიერ და და იმიერ, სურამიდგან ვიდრე განჯამდის; მეორე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა თიანეთიდგან ვიდრე ალაზნის შესართავამდე, რომელიცა ერთვის მახლობელ სამუხისა. ხოლო მესამე მთავარი დაესახლა ასიათასისა კომლისა კაცითა პანკისიდგან ალაზნისსანაპიროსა ზედა, ვიდრე ივრისა შესართავადმდე, მახლობლად სამუხისა და დაიპყრეს სახითშა ამით ქართლი და კახეთი და დაუწყეს დევნა, ტყვეობა და აოხრება ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა. და ესრეთ ცარიელ ჰყვნეს ადგილნი ესე, რომელ თუ არა მთათა და სიმაგრეთა შინა, არღა იპოებოდენ მცხოვრებნი ერნი ქართველთანი“.

„დიდი თურქობის“ დროს (XI-საუკუნის 80-იანი წლები) რეგიონი მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი ჩანს. დავითის ისტორიკოსი წერს: „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა''.

არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ალის ხეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ულუმბის მონასტერზეც ასახულიყო. მით უფრო, რომ თურქები დასავლეთ საქართველოში გადასვლისას სწორედ ალის ხეობის გზებით სარგებლობენ.

მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და აღმავლობის გზით წავიდა დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ. ეს მდგომარეობა შენარჩუნებული იქნა XII საუკუნის განმავლობაში და გაგრძელდა XIII საუკუნის 30-იან წლებამდე. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თამარის მეფობის პერიოდი, როცა ქვეყანამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს თვალსაჩინოდ აისახა სოფლის მეურნეობის, აღებ მიცემობის, საგარეო ვაჭრობის, გზების, ქალაქების, ხელოსნობის, კულტურის დაწინაურებასა და განვითარებაში. ქვეყნის დაწინაურებამ მისი ისტორიული რეგიონების განვითარებას, ამ რეგიონების ცალკეული ნაწილების დაწინაურებას შეუწყო ხელი. ასეთი სურათი იკითხება ისტორიულ შიდა ქართლში და მის უკიდურეს დასავლეთით მდებარე ხაშურის რეგიონში.

ხაშურის რეგიონის დაწინაურება, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობოდა ჯერ კიდევ მანამდე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. როგორც ცნობილია, აღნიშნული რეგიონი, ისტორიულ გზასაყარზე მდებარეობს. ეს გზასაყარი ცნობილი იყო უძველესი დროიდან. მასზე საუბარია არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ (ბერძნული, რომაული და სხვა) წყაროებშიც.

აქ იყრიდა თავს აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები.

XI-XIII საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ამ გზებმა შეიძინა, რომლებიც მდინარეთა ხეობებს მიუყვებოდა.

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები ლიხის ქედზე გადიოდა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ვისაც დასავლეთ საქართველოთგან აღმოსავლეთში მოკლე გზით და პირდაპირ ჰსურდა გადმოსვლა, მას უნდა გადმოევლო ლიხის მთა... ზამთარში აქ თუმცა ხშირად დიდი თოვლი იცის ხოლმე, მაგრამ თუ ადამიანს ეჩქარებოდა, ამ გზას მაინც ვერ აუქცევდა“ .

ამ პერიოდში კვლავ მოქმედებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ულუმბაზე გამავალი გზა. მასზე თამამად შეიძლება გავავრცელოთ ივ. ჯავახიშვილის სიტყვები. აღნიშნული გზა მართლაც უმოკლესი და ამავე დროს ადვილი გადასალახიც არის.

ქვეყნის აღორძინება მნიშვნელოვნად განაპირობებდა სასულიერო ცხოვრების აღმავლობას. აშენდა არაერთი ეკლესია და მონასტერი. ძველ სამონასტრო კერებში სასულიერო ცხოვრება, წინანდელთან შედარებით, აღმავლობით გამოირჩევა. ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ულუმბას მონასტერში, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გზასაყარზე მდებარეობდა და გავლენა მის სამოქმედო რეგიონზე საგრძნობი იყო. სამოქმედო რეგიონი კი მოიცავდა ლიხის ქედის როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მთისწინეთს. იგი რეგიონის ერთ-ერთ მთავარ სალოცავად გადაიქცა.

* * *

XIII - XIV საუკუნეებში ალის ფრონეს ხეობაში ჩამოყალიბდა გაბელიძეთა დიდი ფეოდალური სამფლობელო. ამ გვარმა საქართველოს ისტორიაში სათავე დაუდო ამირეჯიბების ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოს.

ამირეჯიბი თავდაპირველად საქართველოს სამეფო კარზე ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა იყო, რომელიც შემდგომ გვარად იქცა. ამირეჯიბი არაბულიდან მომდინარეობს - ამირ ჰაჯიბ, რაც ქართულად ჯარისკაცთ ამირას ნიშნავს.

ამირეჯიბი გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის მოხელეა - მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი. სავაზირო სხდომის წევრს, უფლება ჰქონდა ყოველ ჟამს წარმდგარიყო მეფის წინაშე. სამეფო კარზე ამირეჯიბი განაგებდა დარბაზობისა და პურობის ცერემონიალს, როგორც საპატიო მოხელეს, ჰყავდა მხლებელი - ზედამდგომელი. ამირეჯიბის თანამდებობიდან წარმოსდგა გვარი ამირეჯიბი.

გაბელიძე - ამირეჯიბის სამფლობელო საკმაოდ ვრცელ ტეტიტორიას მოიცავდა - ალის ფრონე და მისი მომიჯნავე ადგილები, ფცის ფრონესა და დვანის ფრონეს გარკვეული ნაწილი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №16

2023 წლის 1 ივნისი, ხაშური

საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის და 46-ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209^3 მუხლით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურე გარდა, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლით, ასევე საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით,36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შინაარსი, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართის №1);

ბ) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2);

გ)ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი 3);

დ) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის ფორმა (დანართი №4);

ე) სააღსრულებო ფურცლის ფორმა (დანართი №5);

ვ) ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის 40 დადგენილება „საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი

დანართი №1

საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების საგანი

წინამდებარე წესი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის,,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს 1-1/345 ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს 1-1/344 ბრძანების და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარს, მათი შენახვის, შედგენის, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურეები

1.ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საჯარო მოსამსახურე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლით ან საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და მისი შინაარსი

1.თუ საქართველოს კანონის “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლით ან საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით,36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით,39-ე მუხლით,43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის საჭიროა ადმინისტრაციული წარმოება მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ დადგენილი წესის თანახმად მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი უფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას), რაზეც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

2. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისას კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ადგენს მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურე, რომელიც დადგენილი წესით განსახილველად ეგზავნება სასამართლოს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი მერიის ზედამხედველობის საჯარო მოსამსახურემ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ადგილზე ვერ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი ან საჯარიმო ქვითარი-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე, ან ფოტოფირზე, ოქმის შემდგენელი უფლებამოსილია საჯარიმო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში და ფოსტით გადაუგზავნოს სამართალდამრღვევს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

4. თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოსამსახურემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის შესაბამისად, შეიძლება მიიღოს პოლიციაში მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება,რა მიზნითაც იგი მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს/პირს.

მუხლი 4. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და მისი შინაარსი

1.თუ საქართველოს კანონის “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლით ან საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით,36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით,39-ე მუხლით,43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება

საჭირო არ არის,მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელე ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას),რის შედეგადაც საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 242-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად ადგენს საჯარიმო ქვითარს-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

2. თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოსამსახურემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის შესაბამისად,შეიძლება მიიღოს პოლიციაში მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება,რა მიზნითაც იგი მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს/პირს.

3. . საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2) შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

ბ) ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა.

4. საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს ბეჭდის ადგილებს. იმ ადგილზე, რომელიც თანაბრად ფარავს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ორივე ნაწილს,ბეჭედი დაისმება ზედამხედველობის სამსახურის იმ საჯარო მოსამსახურის/ების მიერ, რომლებიც აწარმოებენ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, ხოლო დანარჩენ ადგილებზე ბეჭედი დაისმება საბანკო დაწესებულების მიერ.

5. საჯარიმო ქვითარი–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) რჩება მის შემვსებ საჯარო მოსამსახურესთან, რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ბარდება ზედამხედველობის სამსახურის ბრძანებით განსაზღვრულ შესაბამის საჯარო მოსამსახურეს/ებს, ხოლო მეორე გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს.

6. საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისას დამრღვევს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი,რაც აღინიშნება საჯარიმო ქვითარში –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში.

7. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის:

ა) I ნაწილს, გარდა მე-9 პუნქტისა, ავსებს საჯარო მოსამსახურე;

ბ) I ნაწილის:

ბ.ა) პირველ პუნქტში შეიტანება: შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ბ.ბ) მე-2 პუნქტში შეიტანება: შედგენის ადგილი;

ბ.გ) მე-3 პუნქტში შეიტანება: ოქმის შემდგენლის თანამდებობა,სახელი, მამის სახელი და გვარი;

ბ.დ) მე-4 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: ფიზიკური პირის შემთხვევაში: მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა); იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ.ე) მე-5 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი;

ბ.ვ) მე-6 პუნქტში შეიტანება:

პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია:

6^1 ქვეპუნქტით: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ------- მუხლის ---------- ნაწილით,რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით;

6^2 ქვეპუნქტით: ნარჩენების მართვის კოდექსის --------- მუხლის ---------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით;

ბ.ზ) მე-7 პუნქტში შეიტანება: მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა);

ბ.თ) მე-8 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება.

8. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა,გადაფხეკა,გადაშლა და ა.შ. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც საჯარიმო ქვითრის –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები საჯარო მოსამსახურე მოხსენებითი ბარათით,გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს/ებს.

9. საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი საჯარო მოსამსახურე და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. თუ არის მოწმე ან სხვა მონაწილე, საჯარიმო ქვითარზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

10. თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უარს ამბობს საჯარიმო ქვითრის –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, ამის შესახებ საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი საჯარო მოსამსახურის მიერ. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უფლებამოსილია წარადგინოს საჯარიმო ქვითარზე-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ახსნას საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

11. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს გადაეცემა საჯარიმო ქვითრის– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ასლი, ხოლო თუ დამრღვევი უარს აცხადებს ასლის მიღებაზე, საჯარო მოსამსახურე ამას აღნიშნავს საჯარიმო ქვითარში– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, რის შემდეგაც საჯარიმო ქვითრის– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ასლი ითვლება ჩაბარებულად.

12. II ნაწილი – საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემტანის მიერ I ნაწილის საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესაბამისად.

13. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მისი შევსებიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ჟურნალში.

14. სამართალსუბიექტი, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებიდან 10 დღის ვადაში,ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

15. ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მოსამსახურე აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო)მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს, რის თაობაზეც წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>მუხლი 5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველი</u>

ზედამხედველობის სამსახური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

<u>მუხლი 6. საჯარიმო ქვითრებით–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით: მომარაგება, გაცემა, წარმოება და დაბრუნება. მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალების: გაფორმების, წარმოებისა და შენახვისადმი</u>

1. ზედამხედველობის სამსახური საჯარიმო ქვითრებით–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება ხორციელდება სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ და ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტით.

2. საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეზე,საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა, ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის/ების მიერ.

3. საჯარიმო ქვითრების–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება საჯარიმო ქვითრების–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში – ჟურნალი).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

5. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი, ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

6. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

7. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა" აღრიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

8. იმ შემთხვევაში,თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი,რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

9. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში საჯარიმო ქვითრების–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რეგისტრაციის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

10. ჟურნალი ინახება ზედამხედველობის სამსახურში, რომელიც შემდგომში დადგენილი წესით გადაეცემა არქივს.

11. ჟურნალის შენახვის პირობებმა უნდა უზრუნველყოს მისი დაცულობა.

12. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე,გარდა მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

<u>მუხლი 7. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა</u>

საჯარიმო ქვითრების–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

<u>მუხლი 8. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა</u>

1. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფიზიკური დაზიანების გამო;

გ) მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №4) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

<u>მუხლი 9. ჯარიმის გადახდა</u>

საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>მუხლი 10. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრება</u>

1. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-თ გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე (გარდა საქათველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი"-თ გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე) პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი სამართალდარღვევის შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

2. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი"-თ გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე პირს ვის მიმართაც არის შედგენილი/გამოტანილი საჯარიმო ქვითარი- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუძლია დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ამ კოდექსის 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

<u>მუხლი 11. სააღსრულებო ფურცლის გამოწერა</u>

ზედამხედველობის სამსახურის მიერ სააღსრულებო ფურცლის (დანართი №5) გამოწერა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

<u>მუხლი 12. ვადების ათვლა</u>

წინამდებარე წესით განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ურთხვაში, გზის მოწყობა მიმდინარეობს

უკვე დაგებულია ასფალტის პირველი ფენა.

„ სოფელში, ამ დრომდე, საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. პროექტის განხორციელების შემდეგ კი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება." აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის-ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ასფალტის პირველი ფენა უკვე დაგებულია, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია, ასფალტის მეორე ფენა, საგზაო მონიშვნებისა და სანიაღვრეების მოწყობა. სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 487 778 ლარს შეადგენს.

სურამში, კიკნაძის ქუჩაზე, გზის მშენებლობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

პროექტის ფარგლებში დაიგო ბეტონის საფარი.

„დაბა სურამი, ტურისტული ზონაა და ამიტომ ინფრასტრუქტურის მოწყობას მაქსიმალურად ვცდილობთ, სულ ახლახან მოვაწყვეთ ყოფილი რკინიგზის სადგურზე არსებული ბულვარი, 9 აპრილის ქუჩაზე სკვერი, მინი სტადიონები, ამაღლების ქუჩაზე რეკრეაციული სივრცეები,ცენტრალური პარკის მოსაწყობად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, მოეწყო არაერთი ქუჩა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მშენებლობები. რაც შეეხება კიკნაძის ქუჩას, უკვე დაგებულია ბეტონის ფენა და დარჩა მცირედი სამუშაოები" -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით,კიკნაძის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს,მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 127 177 ლარს შეადგენს.

- მეწარმე ქალბატონები -

„მარეხის ტორტი“ - ბრენდი, რომელსაც ხაშურის გარეთაც კარგად იცნობენ

ჩვენს ცხოვრებაში, არის მნიშვნელოვანი დღეები, რომლის დღესასწაულად ქცევაც ბევრ დეტალზეა დამოკიდებული. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა თქვენი ოცნების ქორწილი, დაბადების დღე, ნათლობა განსაკუთრებული ტორტის გარეშე? ერთ ქალბატონს გაგაცნობთ, უფრო ახლოს გაჩვენებთ თქვენამდე მოტანილი ტორტის შექმნის ისტორიას. **მარეხი გოგალაძეს** თითქმის ყველა იცნობს, ქუჩასაც კი მარეხის ქუჩად მოიხსენიებენ და რადგან, ჩვენი გაზეთი აგრძელებს მეწარმე ქალების მხარდაჭერას, ამაზე კარგი რესპონდენტის თქვენთვის გაცნობის შესაძლებლობა, დამეთანხმებით, ხშირად არ გვაქვს ხოლმე. მარეხის ტორტების შექმნის უკანაც ისტორიაა, ძიერი ქალების დაბადების ისტორია. თავისი საქმე უყვარს, ძერწავს, ხატავს, საკუთარი ხელით ქმნის და აკეთებს ყველა საქორწილო დეტალს და დეკორაციას, ღამეს ათენებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დევს თქვენამდე მოტანილ ხელოვნების ნიმუშადქცეულ ტორტში. დასაწყისი კი ასეთი იყო:

-დედა მზარეული მყავდა, სამი შვილი ობლად გაგვზარდა, სულ მუშაობდა. როცა სახლში ბრუნდებოდა, ტორტებს აცხობდა შეკვეთით. შორიდან ვაკვირდებოდი კეთების პროცესს, არასდროს მიმიღია მონაწილეობა. მოხდა ისე, რომ სამსახურიდან დაბრუნებულს, ჩაეძინა და შეკვეთილი ტორტი რჩებოდა გამოსაცხობი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მაცივარში ჩემი გამომცხვარი ტორტი დახვდა-ეს იყო ჩემი პირველი ტორტი. ხაშურში გავთხოვდი, ძალიან რთული პერიოდი იყო, ეკონომიურად ყველას გვიჭირდა. თუ სადმე დაგვპატიჟებდნენ, ტორტს და ნამცხვარს ვაცხობდი და საჩუქრად მიმქონდა. რასაც მაშინ ვაცხობდი, ძალიან ახალი და უცხო იყო და განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა. დაიწყეს შეკვეთების მოცემა. პირველი შეკვეთაც მახოვს, ბეზეს ტორტი იყო, სხვადასხვა ფიგურებით გაკეთებული. მაშინდელი მომხმარებლები დღესაც მომყვებიან და იხსენებენ, როგორ გაიზარდნენ მათი შვილები ჩემს ტორტებზე. ეს იყო ერთადერთი საქმე, რომელიც ვიცოდი.

<u>- როგორი იყო გზა დასაწყისიდან დღემდე, რომელიც გაიარეთ?</u>

-როგორც უკვე ვთქვი, ძალიან რთული მატერიალური მდგომარეობა იყო ზოგადად ქვეყანაში, ამან ბევრ ადამიანს, მათ შორის მეც, თავის გადარჩენაზე დაგვაწყებინა ფიქრი. შვილი პატარა მყავდა, საჭიროებები ბევრი იყო. საწყისი თანხა, რომლითაც დავიწყე ტორტების კეთება, ხუთი ლარი იყო. მახსოვს, ვიღებდი შეკვეთას, ვალად მომქონდა საჭირო მასალა მაღაზიიდან და შეკვეთიდან აღებული თანხით ვიხდიდი ვალს. 22-23 წლის ვიყავი, არ იყო მარტივი აქამდე მოსვლა. მარტო ვმუშაობდი, დამხმარეების გარეშე, შესაბამისი ინვენტარი და ტექნიკაც არ მქონდა, დედამ მაჩუქა მიქსერი, მაგრამ ელექტრო ენერგია იშვიათად იყო და ბევრი რამის ხელით კეთება მიწევდა. მახსოვს, მაღაზიაც კი გავხსენი ბაზართან, ამან დამანახა, როგორ გამეგრძელებინა მუშაობა და გადავეწყე ტორტების ცხობაზე, რადგან უფრო მეტი სიახლე იყო და საინტერესო აღმოჩნდა მომხმარებლისთვის.

<u>- დამკვიდრების პროცესი მარტივი არ იქნებოდა...</u>

-დაახლოებით ოთხი წლის მერე დავიწყე გაფართოება, ჯერ ერთი დამხმარე ავიყვანე, მერე მეორე. მთელ მოგებას, ტექნიკის შეძენაზე ვდებდი, გაფართოებაზე, განვითარებაზე. ამან შედეგად ის მოიტანა, რომ ჩემი ტორტები არა მხოლოდ ხაშურს, არამედ საჩხერეს, თბილისს, ბორჯომ-ბაკურიანს და სხვა დიდ ქალაქებს წვდება. შვიდსართულიანი საქორწილო ტორტი ცოტა ხნის წინ, საჩხერეში წავიღეთ.

<u>- რამდენი სახის პროდუაციას სთავაზობთ მომხმარებელს?</u>

-ძირითადად, ნამცხვრებზე და ტორტებზე ვმუშაობთ და ეს შეკვეთებით ხდება, რადგან მაღაზია არ მაქვს. ძირითადად, თემატური ტორტებია, ნათლობის, ქორწილის, დაბადების დღის. ამჟამად, ოთხი თანამშრომელი მყავს, რომელიც ჩემთან ერთად, მუდმივ რეჟიმში ვმუშაობთ.

<u>- როგორც მითხარით, ტორტზე მუშაობა განსაკუთრებული პროცესია თქვენთვის, სადაც თქვენ შემოქმედებით უნარებს აცოცხლებთ.</u>



-ტორტის კეთება შემოქმედებითი პროცესია, ხელოვნების ნაწილია, ჩემი აზრით. ყველა ფიგურას ჩემი ხელით ვაკეთებ, ვძერწავ, ვეფერები. ძალიან მიყვარს ცხოველები და მათი ფიგურების ტორტზე გადმოტანა და გაცოცხლება, ძალიან სასიამოვნო პროცესია ჩემთვის. ყველა ტორტს თავისი ემოცია დაჰყვება, საქორწილო ტორტები იმდენად გრანდიოზულია, იმდენად შემოქმედებითი, დასრულებულს რომ უყურებ, ძალიან კმაყოფილი ხარ იმით, რომ ეს შენი შრომის შედეგია, რომელსაც ბედნიერება მოაქვს სხვა ადამიანებისთვისაც და იმ ემოციების ნაწილია, რომელიც მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან დღეს აცოცხლებს.

<u>- თქვენი ოცნების ტორტი როგორია, რომელსაც სიამოვნებით გააკეთებდით?</u>

-ძალიან მინდა ისეთ ტორტზე ვიმუშაო, სადაც მაქსიმალურად დავიხარჯები, ჩემი ფანტაზიით შევქმნი. ტორტი, რომელიც საჩხერიდან შემიკვეთეს, შვიდსართულიანი იყო, დარბაზშივე ავაწყე.

<u>- ეპოქა იცვლება და ბუნებრივია, შეკვეთები სრულიად განსხვავებული იქნება, ვთქვათ, ოცი წლის წინანდელთან შედარებით...</u>

- რა თქმა უნდა. ყველა პროფესია განვითარებას, მუდმივ გაცვლას მოითხოვს. ძალიან ბევრს ვიხარჯები, ვსწავლობ იტერნეტიდან, მე თვითონ ვაკეთებ მიგნებებს. აბსოლუტურად განსხვავდება დედაჩემისგან ნასწავლი ტექნიკა, დღევანდელი ტექნიკებისგან, გემოვნებაც შეიცვალა, სტილიც-ბუნებრივია. ამიტომ, სულ სწავლების პროცესში გიწევს ყოფნა.

<u>-სახელმწიფო პროგრამებით თუ გისარგებლია?</u>

-არასდროს მისარგებლია სახელმწიფო პროგრამებით, ყველაფერი საკუთარი ძალებით შევქმენი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველაფერი ერთიანად არ მოსულა. ერთი პატარა სამზარეულო მქონდა, მაცივრებიც არ მქონდა, რადგან ელ. ენერგია ფიზიკურად არ იყო.

<u>- დარწმუნებული ვარ, ასეთ სამუშაოს რისკიც დიდი აქვს...</u>

- რისკი ძალიან დიდი იყო, პასუხისმგებლობა უფრო მეტი, ყოველდღიურად, 5-7 საქორწილო ტორტის კეთება გვიწევს, ეს, ბუნებრივია, დიდი რიდკია, შეკვეთიდან, მიწოდებამდე პროცესი-ყველა დეტალის დამზადება, რომელიც ჩემი ხელით კეთდება, ღამეებს ვათენებ, ამ ყველაფრის შესაქმნელად, მოსასწრებად, რომ ყველა დღესასწაული, მომხმარებლისთვის სამახსოვრო და შთამბეჭდავი იყოს და ამაში, ჩემი წვლილიც იყოს.

<u>- ცხოვრებას რომ თავიდან იწყებდეთ, ისევ ამ საქმეს აირჩევდით?</u>

-აუცილებლად ავირჩევდი, ჯერ მხოლოდ იმ სიყვარულისთვის, რასაც ხალხისგან ვიღებ ყოველდღიურად. ეს სიყვარული იმ საქმის უკუკავშირია, რომელსაც მეც დიდი სიყვარულით ვაკეთებ.

<u>თ. ჯავახიშვილი</u>

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.